## სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვა მონეტარული ზღვრების დაცვით

ქ. სამტრედია 18 ოქტომბერი 2016 წელი

ერთის მხრივ ა(ა)იპ ,,კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედია" (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმომადგენილი მმართველი დირექტორის პაატა შალამბერიძის სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს ,,ISTANBUL BAZAAR" (შემდგომში მომწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მეჰ მეთ ქარსლიოღლუს სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. " ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში – ხელშეკრულება) – შემსყიდველს და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორ) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ერთი- შემსყიდველს.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელის ფარგლებშიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. "დღე", კვირა", "თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4."შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. "მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მოწოდებას, ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. მომსახურეობა – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

### 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია – **სხვადასხვა სახის სარეცხი საშუალებების მოწოდება (შემდგომში ,,საქონელი").**

**CPV კოდი - 39831000** - სარეცხი საშუალებები

### 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 **ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 500 (ხუთასი) ლარს.**

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის მოწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

### 4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს შესაბამისი ელ. სასაქონლო ზედნადებისა და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, გაფორმებიდან 10 დღის ვადაში.

### 5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 საქონელი შემსყიდველის მიერ ჩაითვლება მიღებულად მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

ხელმომწერი უფლებამოსილ პირს წარმოადგენს- ა(ა)იპ ,,კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედია"-ს დირექტორი პაატა შალამბერიძე.

## 6. საქონლის მიწოდების პირობები

6.1. ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული ,,საქონლის" მოწოდება განხორციელდება ,,მომწოდებლის" მისამართზე.

6.2. მოსაწოდებელი ,,საქონლის" სახეობას ირჩევს ,,შემსყიდველი".

**6.3 ,,საქონლის" მოწოდება განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის 31 დეკემბრამდე ,,შემსყიდველი"-ს მოთხოვნის შესაბამისად.**

## 7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირება; რაც გულისმობს ,,ხელშეკრულების საგნით" გათვალისწინებული ,,საქონლის" ნებისმიერი სახით კონტროლს (ასეთი გარემოების არსებობის შემთხვევაში).

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული ,,საქონლის" ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული ,,საქონლის" ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

## 8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის.

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი)%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზრაურება.

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

9.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 10.4. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.
9.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 10. დაუძლეველი ძალა

10.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
10.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
10.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

## 11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლება მოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

## 14. მხარეთა რეკვიზიტები

| შემსყიდველი: | მომწოდებელი: |
|---|---|
| ა(ა)იპ ,,კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედია“ | შ.პ.ს ,,ISTANBUL BAZAAR“ |
| მის: სამტრედია, რუსთაველის ქ. №128 | მის: ქ. ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ.. #20/ბ39 |
| ს/კოდი - 238775704 | ს/კოდი - 445384646 |
| მომსახურე ბანკი - სახელმწიფო ხაზინა | მომსახურე ბანკი - თიბისი ბანკი |
| | ბანკის კოდი - TBCBGE22 |
| | ანგ. #GE88TB72 0433 6020 1000 03 |
| მმართველი დირექტორი: პაატა შალამბერიძე | დირექტორი: მეჰ მეთ ქარსლიოღლუ |